**დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების (შშმ პირების, მხცოვანი მოქალაქეების, ტერიტორიული/სოციალური მოწყვეტილობის გამო სერვისებს მოკლებული პირების, მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონეთა და სახელმწიფო რეზიდენციულ ზრუნვაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების) საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის სხდომის**

ოქმი N2
დუშეთი 07.08.2023

სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2023 წლის 7 აგვისტოს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

მანანა ნარიმანიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე;

თამილა ნადირაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარის მოადგილე;

ანნა კაკალაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარინა კაიშაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნონა აფციაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახის სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნინო ჭინჭარაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ფსიქოლოგი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომით ხელშეკრულებით დასაქმებული სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი - სამუშაო ჯგუფის სხდომას აფორმებს ოქმის სახით;

მარიამ ბედუკაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თამარ კავთელიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

სხდომას ესწრებიან სამუშაო ჯგუფის წევრები: მანანა ნარიმანიძე, თამილა ნადირაშვილი, ანნა კაკალაშვილი, მარიამ ავლახაშვილი, მარიამ ბედუკაძე, თამარ კავთელიშვილი. სამუშაო ჯგუფის სხდომას ესწრებოდა ჯგუფის წევრთა უმეტესობა, ადმენად სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილების მისაღებად.

სამუშაო ჯგუფის მდივანმა წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის №132.1322319810 (17.07.2023) ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილობრივი სოციაური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების (შშმ პირების, მცხოვანი მოქალაქეების, ტერიტორიული/სოციალური მოწყვეტილების გამო სერვისებს მოკლებული პირების, მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონეთა და სახელმწიფო რეზიდენციულ ზრუნვაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების) საჭიროებათა კვლევის შედგეპი ეტაპის შესახებ, რაც გულისხმობს მოსახლეობის ანკეტურ გამოკითხვას.

ვინაიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

/მომხსენებელი: მარიამ ავლახაშვილი/

მარიამ ავლახაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების საჭიროებათა კვლევის ჩატარების შესახებ. ასევე, მერის წარმოამდგენლების მიერ შევსებული პირველი აღრიცხვის ფორმების რაოდენობა სამიზნე კატეგორიების მიხედვით და კვლევის შემდეგი ეტაპის შესახებ მოკლე ინტრუქცია.

**აზრი გამოთქვეს**: სამუშაოს ჯგუფის ხელმძღვანელი - მანანა ნარიმანიძე: 18-ვე წარმომადგენელმა სრულყოფილად წარმოადგინა მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში პირველადი აღრიცხვის ფორმები. დამატებით საჭირო გახდა ტერიტორიული/სოციალური მოწყვეტილობის გამო სერვისებს მოკლებული პირების პირველადი ინფორმაციების მოწოდება და ამ ეტაპზე, გვაქვს სრულყოფილი სია. კვლევის შემდეგი ეტაპი გახლავთ

მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა, რომლის ხარისხიანად ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია. მოპოვებული ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი, რათა მისი მონაცემთა ანალიზი ასევე ხარისხიანად შევძლოთ. მერის თითოეულ წარმომადგენელს კიდევ ერთხელ განვუმარტოთ ანკეტის ყველა კითხვა. სამუშაო ჯგუფის წევრებმა, გააკონტროლეთ თითოეულ თქვენგანზე მომაგრებული წარმომადგენლის საქმიანობა, ხშირი კომუნიკაციით და ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხით. წარმომადგენლება მაქსიმუმ 10 დღის ვადაში უნდა წარმოადგინონ, მათი პირველადი აღრიცხვის ფორმებში წარმოდგენილი მოსახლეობის 10%-ის ანკეტური გამოკითხვის შედეგები. უზრუნველყავით, თითოეული ყველა წარმომადგენლისთვის საჭირო რაოდენობის ანკეტების გადაცემა, რათა თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი წინაღობები.
პარალელურ რეჟიმში, სამუშაო ჯგუფმა შექმნას კითხვარის ვერსია Google Forms-ში და შეიყვანოს წარმომადგენლის მიერ შევსებული თითოეული ანკეტა.

**საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა.**

**გადაწყვეტილება**: სამუშაო ჯგუფის წევრებმა მერის წარმომადგენლებს გადასცენ ანკეტური ფორმები და მერის 18-ვე წარმომადგენელმა, მათი უფლებამოსილების მოქმედების ადმინისტრაციულ ერთეულებში, დაიწყონ საველე სამუშაოები, ანუ სამიზნე კატეგორიების ანკეტური გამოკითხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითების განხილვა ამოიწურა, სამუშაო ჯგუფის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ოქმი შედგენილია ერთ პირად.

სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე: /მანანა ნარიმანიძე/

სამუშაო ჯგუფის მდივანი: /მარიამ ავლახაშვილი/